გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 14/12/2016

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №1216/13-1

2016 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართებში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართს, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული მონაცემი.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ხასაშვილი

დანართი №1

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან						
№	**პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)**	**ფსევდონიმ (ებ)ი, ზედმეტი სახელ (ებ)ი**	**პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი**	**მისამართ (ებ)ი, შესაძლო ადგილსამყოფელი**	**სიაში შეყვანის თარიღი**	**სხვა ინფორმაცია**
1	2	3	4	5	6	7
388	სახელები: 1. რუსტამ (RUSTAM) 2. მაგომედოვიჩ (MAGOMEDOVICH) 3. ასელდეროვ (ASELDEROV) ორიგინალი დასახელება: Рустам Магомедович Асельдеров დაბადების თარიღი: 9 მარტი, 1981	ა) აბუ მუჰამმად (Abu Muhammad (ორიგინალი დასახელება: Абу Мухаммад) ბ)აბუ მუჰამმად ალ-კადარი (Abu Muhammad Al-Kadari (ორიგინალი დასახელება: Абу Мухаммад Аль-Кадари) გ) მუჰამადმუჰთარ Muhamadmuhtar	პასპორტის მონაცემები: რუსული პასპორტის ნომერი: 8208 No. 555627 გაცემულია რუსეთის ფედერაციის ფედერალური მიგრაციის სერვისის დირექტორატის დაღესტნის რესპუბლიკის ლენინსკის ოფისის მიერ		12.12.16	იძებნება რუსეთის ფედერაციის მიერ ტერორისტული დანაშაულებისათვის. ხელმძღვანელობს 160-კაციან ტერორისტ მებრძოლთა ჯგუფს, რომელიც ოპერირებს დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და რუსეთის ფედერაციაში. ფოტო

	დაბადების ადგილი: იკი-ბურულის სოფელი, ირი ბურულის რაიონი, კალმიკიას რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია (Iki-Burul Village, Iki-Burulskiy District, Republic of Kalmykia, Russian Federation) ეროვნება/მოქალაქეობა: რუსი	(ორიგინალი დასახელება: Мухамадмухтар)	პირადი ნომერი:			ხელმისაწვდომია გაეროს ინტერპოლის უსაფრთხოების საბჭოს სპეციალური შეტყობინებით.